

՚ Շ Ռ Ն Ա Տ Ա Ռ Ա Ռ Ո Ւ Ա

„Քարտուլո և նույզով կուլտուրուս և այսուհետեւ աքրօնքը լ գամուցեմքն (I—VI Ժ.Ժ.) օճյուղեծուա պալքառլո գամոյալլեզեծի քարտուլո յնու մարտլիւրուս, ըրմաթոյուս, լոյժսոյա-դրանչուուղուսուս և սրուլուսըյուս և այսուհետեւ թինամթութեա մեշուու թիցնո կո և այսուցութեա տացուսու ացեծուլլեծուտա և մանաթուսուտ: օգո մտլուսանաւ յումուծա սալլյայսույնու մասալլուն, հոմլութիւ ահսեծուտաւ մուուցաւ տանամեժուրուց քարտուլ սալլութերաթուրո յնանի գազրւուլլեծուլ բուռութիւնու և սոնդայիսուրա-սրուլուսիւր դարլուցեզեծ և, սայրտուա, օտազալութինեցեծ յունեյժսթի և սույզուս եմարցեծուտան դայացմուրեծուլ և եզացածեզա սանու հուլ շեմտեցեզեծ: յերմուա, օշուլուսեմբա և յետո շեմտեցեզեծու, հուպա յես ու իս յրտուլո (սույզու, շեսույզեծ) անրութիւնու-սեմանթոյուրու տացալսաթիւնուտ համարենալմե շեմուցերեծուլո, ზոցչյու սրուլուաւ գայ-մարտլութելու յնութիւնու մումբանու և ամբանու սանուտ յացու գայցութերեծուլուա տանա-մեժուրուց սալլութերաթուրո յարտուլնու, սուցուալլուրո սանցուաւ մուծու-ցեծուլո այցու և, ամարենաւ, դարլուցեզաւ յելար հաստուլուն: մուշեցա-ցար ամուս, մասից պուրագուրեծուն գամեցուուղուն մանց սափուրու աեալ մու-սալլունել դարլուցեզատա թինասթիւ ալսացեզետաւ ան յացու հասաթուլո արա-սասպարացու թիւնենցուցեծուն դասամուերութիւնեծուլուա:

Սրուլուսիւր դարլուցեզատա և, ზոցածաւ, սուրպատեմարցեծուն լոյժ-սոյնուն և յեյմնուն սափուրուն հայեննու յարցա եանու օշրմենութուա և յես սափուրուն մեյզութերութօնաւ գալմուցու լուցեզանցուլունմաւ: սոնդայիսուս և լոյժսոյա-սրուլուսիւր սայսուհեծուն ահայրութել յե-նեծուած և յեցածեզա դրուսա և տանեծուն մեցնուրեծու, մթիւրլուն, քըդա-ցոցեծու: յես սայսուհեծուն աթիւեծու հրդայիւրուցեծուս և յամոմպալլունմեծուն մումնացեծու, պարանալուսիւր սայսուհեծուն աթիւրլուն յա-լութերաթուրուլու մորցաթիւրուն, յուսաւ սայմե այցու մյուտեցուրուտան — սա-լութերաթուրուլո յնուն տանամեժուրուց ու մոմացալ մոմեմարցեցլուտան.

մաշրամ ու այսամար ամ թունուս լոյժսոյնուն յեյմնա մետուու սափու-րուն մարտլուց ամուս օգո յացու այսուլութելութօնաւ օյլու: մասու-թիւնու օնցուրմացուն սամուալլուն տանամարտուրուն յարտուլո սալլութերաթուրուն յնուն մումեմարցեծուն սոյերուս տանցատանութօն գայցարտուրեծուս և եալենու-սասասպարացու մետիւրուլութեծուն յուրու դասակուրութեծուն յեցեցալ սա-

ლიტერატურო ქართული ვერ ასცდა ამგვარი პროცესების თანმდევ სიჭრელეს, ერთი მხრივ, და ახალ-ახალი ენობრივი შტამპების მოძალებას, მეორე მხრივ. მიტომ ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების სწორი გზით წარმართვისათვის აუცილებელი შეიქნა ამ პროცესების სპეციალური შესწავლა და ზოგადი ტენდენციების გამოვლენა.

მაგრამ ერთია აუცილებლობა და მეორე — შესაძლებლობა. საბედნიეროდ, ეს შესაძლებლობა ქართულ ენათმეცნიერებას ჰქონდა: დღეს ჩვენს ხელთაა რვატომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი თავისი უმდიდრესი საღოუმენტაციო ფონდით, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ორთოგრაფიული ლექსიკონის ვრცელი გამოცემა, რომელშიც არაერთი სინტაქსური თუ სტილისტიკური საკითხიცაა ასახული, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (I კრებული), რუსულ-ქართული ლექსიკონის აკადემიური გამოცემა, უცხო სიტყვათა და სხვადასხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონები, იდიომთა ლექსიკონები; დაწვრილებითაა შესწავლილი თანამედროვე ქართული ცენტრალური და პერიფერიული პრესის ენა და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოთა ენა (იხ. კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მესამე და მეხუთე წიგნები), გამოქვეყნებულია საგანგებო კრებულები და ცალკეულ ავტორთა ნაშრომები ქართული ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიისა და სტილისტიკის საკითხებზე. მაშასადამე, ყველა პირობა აღმოჩნდა იმისათვის, რათა ეს შესაძლებლობა რეალობად ქცეულიყო.

ლექსიკონისათვის მასალის მოსაპოვებლად მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო ივანე გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით. მასალის თანამდებობით შესწავლისას გამოიკვეთა ცალკეული საკითხები, რომელთაგან ნაწილი დამუშავდა და სტატიების სახით გამოქვეყნდა კიდეც, ნაწილი კი კვლავაც მუშავდება. წინამდებარე ნაშრომში ეს საკითხები, ბუნებრივია, სათანადოდ არის ასახული.

დარღვევათა ერთ წყებას პარონიმები ანუ ბგერობრივად მსგავსი და შინაარსობრივად ახლოს მდგომი სიტყვები შეაღეს. მაგ.: სწორად და სწორედ, პირი და პიროვნება, უებარი და უებრო, შეიქნა და შეიქმნა, სწავლა და სწავლება და მისთ. ზოგჯერ აღრევისათვის მხოლოდ ბგერობრივი მსგავსებაც საკმარისია. მაგ.: აღქმა და აღთქმა, კამპანია და კომპანია, ცნება და მცნება და სხვ.

აღრევა განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს ფრაზე თლო გია-ში და წარმოადგენს, კერძოდ, შინაარსობრივად დაახლოებული გამოქმების კომპონენტთა აღრეული შერწყმის შედეგს. ასეთებია, მაგა-

ლითად: გულაღმა დაემხობა (< გულაღმა დაეცემა + პირქვე დაემხობა); გულს ინუგეშებს (< გულს იმშვიდებს + თავს ინუგეშებს); გვერდები დაიჭირა (< გვერდები გადგა + შორს დაიჭირა); სტუმართმოყვარეობას გაუწევს (< სტუმართმოყვარეობას გამოიჩენს + მასპინძლობას გაუწევს) და მისთ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უკანასკნელ ხანებში გავრცელებულ მოვლენას, როგორიცაა სახელურ-ზმნურ შესიტყვებათა ხმარება ნაცვლად ერთი სიტყვისა — ზმნისა. მაგ.: აწარმოებს (წარმოებს) დაჭილდობას, შემოვლის, რწყვას..., ატარებს (ტარდება) დაჭიმვას, გამოკვებას..., აწყობს (ეწყობა) გამოცხობას, სუქებას და ა. შ.

დიდი ადგილი ეთმობა ს ი ნ ო ნ ი მ თ ა ფუნქციებისა და კონტექსტური ხმარების ანალიზს. შდრ. სწორი გამოთქმა საგნის მასწავლებლი და არასწორი — საგნის პედაგოგი, თუმცა მასწავლებელი და პედაგოგი ეროვნული და საერთაშორისო სინონიმებია. ასევე გამიჯნულია ფუნქციურად: მისი — თავისი, მალე — სწრაფად — ჩქარა; დაზარალება — დაზიანება — დაშავება და მისთ. ზოგი სინონიმი იმიჯნება „დადებითსა“ და „უარყოფით“ კონტექსტებში განაწილებით. მაგ.: სავსებით შესაძლებელი და სრულიად შეუძლებელი, გამარჯვების პირობა და დამარცხების მიზეზი და მისთ.

საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გზით უმართებულოდ გავრცელებულ შტამპებზე: გაგმის, დავალების, ნდობის... განალდება; მაღალი ნდობა, მაღალი მოვალეობა, მაღალი ტემპი და სხვ., აგრეთვე, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად უადგილოდ ნახმარ სიტყვებზე, ე. წ. ე ქ ს პ რ ე ს ე-მებზე: საშინლად, საოცრად, აუტანლად და ა. შ. მეორე მხრივ, ნაშრომში აისახა ენობრივი შტამპებისაგან თავდასაცავად ენის პასიური ლექსიკის, განსაკუთრებით, ა რ ქ ა ი ზ მ ე ბ ი ს უმართებულო ფორმით ცრულგანახლების პრაქტიკა: „ალიგავა მიწისაგან პირისა“ — ნაცვლად სწორი გამოთქმისა „ალიგავა პირისაგან მიწისა“, „განახვნა კარი“ — ნაცვლად შესიტყვებისა გააღო კარი და მისთ.

დარღვევათა დიდი ნაწილი უცხო ს ი ტ ყ ვ ა თ ა არასწორი ფორმით ან არადანიშნულებისამებრ ხმარებით არის გამოწვეული: პლაგიატი და პლაგიატორი, ამბიონი და ტრიბუნა და სხვ.

შეცდომებს იწვევს ტავტოლოგიური გამოთქმები: საკუთარი ავტობიოგრაფია, პირველი დებიუტი, პირველი პირმშო, მკვიდრი აბორიგენი და ა. შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თ ა ნ დ ე ბ უ ლ თ ა სწორ ხმარებას. კერძოდ, მიმოხილულია -ში და -ზე, -გან და -(ი)დან, -(ა)დმი

და სხვა თანდებულთა უმართებულო ხმარების შემთხვევები და მითი-თებულია მათი წარმოშობის წყარო, როგორიცაა, მაგალითად, კი ლ-ჭირება: თავის ფასში, ყურადღება მივაჭიროთ ზოგიერთ მომენტზე და ა.შ.

ლექსიკონში შეტანილია სხვაგვარი კალკებიც: გადაურეკავს, ად-გილი აქვს (შეხვედრას), ამრავლებს დიდებას და მისთ.

წმინდა სინტაქსური საკითხებიდან არ არის გათვალისწინებული მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების, აგრეთვე, ქვემდებარე-შემა-სმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხები. პირველი არსებითად მო-გვარებულია და ცალკეული შეცდომები, უყურადღებობით გამოწვეუ-ლი, სისტემას არ არღვევს; მეორე ჯერ კიდევ მოსაგვარებელია და ამი-ტომ წესების დარღვევაზე ლაპარაკი გაჭირდებოდა.

*
* * *

წინამდებარე ნაშრომში შესატანად ძირითადად დარღვევა-შეუსა-ბამობათა ტიპობრივი მასალა შეირჩა და ამიტომ თითოეული ერთეუ-ლი რამდენიმე მაგალითით მაინც არის ილუსტრირირებული. გამონა-კლის წარმოადგენს ფრაზე ოლოგიური დარღვევა-უზუსტობა-ნი, რომლებიც ზოგჯერ მხოლოდ თითო მაგალითითაა დამოწმებული. მაგრამ ლექსიკონში ასეთი მასალაც შეგნებულად იქნა შეტანილი: ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს, როგორც მყარ გამოთქმებს, სხვა, თა-ვისუფალ შესიტყვებებთან შედარებით, ჩვეულებრივ, ცვალების საფ-რთხე ნაკლებ ემუქრება. ამ ფონზე მათი დარღვევის ერთადერთი შემ-თხვევაც კი მერყეობის დაწყების ერთგვარ გამაფრთხილებელ „სიგ-ნალად“ უნდა იქნეს მიჩნეული და — მათი ფიქსირების გზით — ამ-თავითვე დროულად აღვეთილიც.

უმართებულო და უხერხეულ შესიტყვებებს, როგორც ცნობილია, არცთუ იშვიათად გზას უკაფავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებე-ბიც. ასეთი შესიტყვებები ენობრივ შტამპებში შელწევის გზით „იხან-გრძლივებენ სიცოცხლეს“ და, ბუნებრივია, მომხმარებლის თვალი და ყური თანდათან ისე მიეჩიდა მათ, რომ ზოგჯერ ჭირს კიდეც სწორის გამიჯვნა არასწორისაგან. ამიტომ მასალის შერჩევისას ამ მომენტსაც გაეწია სათანადო ანგარიში.

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომელთა აღნუსხვასა და მოგვა-რებასაც ემსახურება წინამდებარე ნაშრომი.

* * *

სალექსიკონო ერთეულთა სემანტიკის განმარტება-კვალიფიკაცია ძირითადად ეყრდნობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისას, ხშირად — ზუსტი ციტირების გარეშეც და განსხვავებული ნიუანსების დამატებითი ოღნიშვნით. სისტემატური გამეორების თავიდან ასაცილებლად ეს წყარო აღარ არის დასახელებული (საგანგებო შემთხვევის გარდა, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს). ამასთანავე, დახსიათებულია მოცემული ერთეულის მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომელიც შეცდომა-აღრევის წყარო გამხდარა და მიესადაგება სალექსიკონი სიტყვა-სტატიების მიზანდასახულობასა და შინაარსს. სწორი და ბუნებრივი გამოთქმების საილუსტრაციოდ ამავე ლექსიკონის საღოკუმენტაციო ფონდი იქნა მოშეველიებული (თუმცა მისივე საშუალებით რიგ შემთხვევაში დარღვევათა მასალის შესეხაც მოხერხდა).

შეუფერებელი სიტყვათხმარებისა და აშეარა დარღვევების ძირითადი მასალა მოპოვებულია თანამედროვე მწერლობიდან (ორიგინალური და, განსაკუთრებით, თარგმნილი ლიტერატურიდან), პრესიდან (უახლესი მასალის ჩათვლით), სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურიდან; ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულია ზეპირი მეტყველების ნიმუშებიც რადიო-და ტელეგადაცემებიდან და ა. შ.

მაგრამ ნაშრომის დანიშნულება მხოლოდ ამგვარ შეუსაბამობათა ოღნუსხვით არ შემოიფარგლება: მასში რეკომენდებულია სემანტიკურ-გრამატიკულად სწორი და სტილისტიკურად უმჯობესი ვარიანტებიც.

ლექსიკონის სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუმართავ შესიტყვებათა გასწორებები უპირატესად კონტექსტებშივე ჩართული (ჩვეულებრივ, იმ ერთეულის შემდეგ, რომელიც შეცდომა-უზუსტობის აუცილებელი და საქმაო წყაროა). აქედან გამომდინარე, სწორების ეს წესი სინტაგმის ფარგლებში დარჩენას ვარაუდობს და არ ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როცა სასურველია და შესაძლებელი მთელი კონსტრუქციებისა და წინაღადებების შეცვლა. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევაში ამ ხასიათის გასწორებაც გახდა საჭირო.

საილუსტრაციო მასალის წყაროები შემოქლებითაა მითითებული ფრჩხილებში და გაშიფრულია შემოქლებებში, რომლებიც ნაშრომს ბოლოში ერთვის. სიმოკლისათვის ავტორთა ნაწარმოებების დასახელება და თარიღები გამოტოვებულია. მთელი დამოწმებული მასალა დეტალური ცნობებით დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების საღოკუმენტაციო ფონდში.

ვინაიდან სიტყვათშეხამებათა ან სიტყვათხმარების ლექსიკონი ჩვენში ჯერჯერობით არ გამოსულა და ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომს საცდელი ხასიათი აქვს, ბუნებრივია, საჭირო გახდა იმ გამოცდილების გათვალისწინება, რომელიც დღემდე შეუძენია საბჭოთა ენათმეცნიერებას ამ დარგში. განსაკუთრებით ფასეული გამოდგა ანალოგიური ხასიათის შემდეგი ნაშრომები: „Правильность русской речи“ (сост. П. П. Крысин, Л. В. Скворцов). Под ред. С. И. Ожегова, М., 1965; «Краткий словарь трудностей русского языка для работников печати», М., 1968; „Трудности словоупотребления и варианты норм русского литературного языка“ (под ред. К. С. Горбачевича), Л., 1973; „Трудности русского языка“ (под ред. Л. И. Рахмановой), М., 1981.

ძირითადი ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, რომლითაც ხელმძღვანელობდა ამ წიგნის შემდგანელ ავტორთა კოლექტივით ოეორიული თუ პრაქტიკული, ზოგადი თუ კერძო საკითხების დამუშავებისას, იყო: ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ (I, 1973) და „სალიტერატურო ქართულის საჭირობოროტო საკითხები“ (1979), არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“ (პროცედურის ნაწილი, 1952), ვ. თოფურიას „ქართული ენა და მართლწერის ზოგი საკითხი“ (1965), ბ. ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ (1974), კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (ექვსი წიგნი, 1972—1984), შ. ძიძიგურის „საენათმეცნიერო საუბრები“ (1982), ა. თაყაიშვილის „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ (1961), ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (1966), ზ. ჭუმბურიძის „როგორ გაჩნდა სიტყვა“ (1978), გ. შალამბერიძის „მეტყველების კულტურის საკითხები“ (1964), „უტკბესი და უმწარესი“ (1968), „სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი“ (1980), შისივე — რ. გაბეჩიავასთან ერთად: „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“ (1974), ალ. გვენცაძის „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები“ (1974), ნ. ბასილაიას „ქართული მართლწერის საკითხები“ (I, სონუმი, 1960), რ. შამელაშვილის „მეტყველების კულტურის ზოგიერთი საკითხი“ (1980) და სხვ.

სათანადოდ იქნა გათვალისწინებული აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა დასახმარებლად მოწოდებული სამეცნიერო-პოპულარული სტატიები სპეციალურ უურნალებსა („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „სკოლა და ცხოვრება“) და ყოველდღიურ პრესაში (მწერლებისა-უურნალისტებისა...); თავისებურად სასარგებლო აღმოჩნდა პრესის

ფურცლებზე ენის საკითხების შესახებ გამართული დისკუსიის მასალების გაცნობაც. რიგ შემთხვევაში დამატებითი შესწავლა მოითხოვა პოპულარულ გამოცემებსა და პრესაში სწორად (ზოგჯერ არასწორადაც) დასმულმა საკითხებმა ან შენიშვნულმა, მაგრამ მეცნიერულად აუხსნელმა არაერთმა ენობრივმა ფაქტმა.

* * *

სალექსიკონი მასალები 400-მდე ერთეულს შეიცავს. სიტყვა-სტატიის აგების პრინციპი შემუშავდა ივ. გიგინეიშვილის სანიმუშო სტატიის მიხედვით.

გარდა უშუალოდ შემდგენელთა მიერ მოპოვებული მასალისა, წიგნში შეტანილი რამდენიმე სიტყვა-სტატია მომზადდა კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ პირველ ტომში გამოქვეყნებული გამოკვლეულის მიხედვით: ბ. ფოჩხუასი — „კონტექსტი და მნიშვნელობა“, ნ. გაჩნაძისა — „რუსულ პერ-პრევერბიან ზმნათა ქართულად გადმოცემის საშუალებანი“. სიტყვა-სტატია ბედი ეწვია, ბედს ეწია მომზადებულია ივ. გიგინეიშვილის წერილის მიხედვით, ხოლო სტატიები გახლავთ, გვახლებათ — ნ. აბესაძის მასალის მიხედვით.

რამდენიმე სალექსიკონი სტატიისათვის მასალის მოპოვებასა და შემზადებაში მონაწილეობა მიიღეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომლებმა: ვ. მალრაძემ, მ. ტაბიძემ, თ. გვერდწითელმა და მ. შალამბერიძემ.

* * *

სალექსიკონი სტატიების აგების ზოგადი პრინციპები ასეთია:

1. სახელები წარმოდგენილია სახელობითის ფორმით, ბრუნვის ნიშნის გამოყენებულად.

2. თუ დარღვევა-შეუსაბამობები რთული სიტყვის პირველი კომპონენტის ხმარებასთან არის დაკავშირებული, ეს უკანასკნელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი (მაგ.: ავტო-, თავ-, თანა- და მისთ).

3. ზმნის, როგორც სალექსიკონი ერთეულის, ფორმის შესარჩევად გამოყენებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პრინციპი პირიანი ფორმების გამოტანისა. კერძოდ, არჩეულია მყოფადის მესამე პირის მხლობობითი რიცხვის ფორმა (მაგ., მიაღწევს, შეასრულებს...); ე. ი. ის ფორმა, რომელშიც მაქსიმალურადა გაშლილი ზმნუ-

რი ფუძე და, რაც მთავარია, ზმნისწინის მეშვეობით სრულად არის შენარჩუნებული ზმნის სემანტიკა. ეს არჩევანი ნაკარნახევია ლექსიკონის ძირითადი მიზანდასახულობით, რომელიც არსებითად სემანტიკურ დარღვევათა გამოვლენას ითვალისწინებს. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როცა დარღვევა-შეუსაბამობას მყოფადის ფორმა საერთოდ ვერ ასახავს ან სათანადოდ ვერ ასახავს. ასეთ შემთხვევაში ზმნა წარმოდგენილია აწყვის ფორმით (მაგ., ათარებს სათვალეს...) ან — ბრუნვათა ილრევის გამო — ნამყო სრულით (დაყნოსა — უყნოსა...). გამონაკლისი ეხება ფრაზეოლოგიზმებსაც, კერძოდ, ზმნის შემცველ გამოთქმებში უპირატესობა მიენიჭა დარღვევის ასახვის თვალსაზრისით შედარებით სტაბილურ ფორმას.

რაც შეეხება გარდამავლობას, გვარს და სხვა ზმნურ კატეგორიებს, ჩევეულებრივ, გამოტანილია როგორც გარდამავალი (მოქმ. გვარის), ისე გარდაუვალი (ვნებ. ან საშ. გვარის) ფორმები, საჭიროების შემთხვევაში — უპირო ფორმებიც, თუკი სემანტიკურ დარღვევათა თვალსაზრისით ისინი განურჩეველია (მაგ.: გაზრდის, გაზრდება; გაზრდა; გაზრდილი).

მაგრამ, თუ დარღვევა მხოლოდ ერთი რომელიმე — გარდამავალი ან გარდაუვალი (ან კიდევ მოქმედებითი თუ ვნებითი) ფორმით შემოიფარგლება, გამოტანილია მხოლოდ დარღვევის ამსახველი ფორმა — პირიანიც, უპიროც (მაგ.: აღმოცენდება; აღმოცენება, აღმოცენებული).

გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

1. ს ი ტ ყ ვ ა -ს ტ ა ტ ი ი ს დ ა ს ა ხ ე ლ უ ბ ი ს ა ს :
- ა. სინონიმები და პარონიმები გამიჯნულია ტირეთი (—). მაგ.: ვედაგოგი — მასწავლებელი; მცნება — ცნება;

ბ. არასწორი და სწორი თანდებულიანი ფორმები ან თანდებულიან-უთანდებულო ალტერნანტები გამიჯნულია წილადის ხაზით (/). მაგ.: ბაზარში/ბაზარზე: ყურადღებას მიაქცევს რაიმეზე/რაიმეს;

2. ს ა ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი კ რ ა ტ ი კ ა ც ი ს ა ს :

ურთიერთობა ამოსავალსა და შილებულ ფორმებს შორის მყარდება შესაბამისად > და < ნიშნებით.

3. ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ შ ი :
- ა. ტექსტში აღდგენილი სიტყვა მოქცეულია ნახევარკვადრატულ ფრჩხილებში (Г.). მაგ.: „გიგი სწრაფად გაბრუნდა“.
- ბ. გამტორებული ერთეულები (სიტყვა, შესიტყვება, წინადაღება) მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში ([]). სემანტიკურ-გრამა-

ტიპული თვალსაზრისით სწორ ან სტილისტიკურად უმჯობეს ვარიანტებს უძლვის შესაბამისი სარეკომენდაციო სიტყვები: უნდა იყოს, სწორია ან უმჯობესია (აჯობებდა), ტავტოლოგიის შემთხვევაში — ზედმეტია, გამოტოვებისას — აკლია.

*

* * *

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სემანტიკურ-სტილისტიკურ დარღვევა-შეუსაბამობათა მცირე ცნობარი, ზემოთქმულის თანახმად, საცდელი ხასიათისაა და ამდენად მას სისრულის პრეტენზია, ცხადია, ვერ ექნება. ყველა საქმიანი შენიშვნა და სურვილი მაღლობით იქნება მიღებული.